



ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia



აჭარაში მსხოვრებ ეკომიგრანტთა კვალიფიკაციისა და უნარ- ჩვევების კვლევის ანგარიში



კვლევა განხორციელდა ა(ა)იპ ახალგაზრდა მენეჯერთა კავშირი “ინტელექტის” მიერ პროექტს “მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში”-ს ფარგლებში. პროექტი ხორციელდება ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით.

ბათუმი - 2016 წელი

სარჩევი

1.	შესავალი.....	3
2.	კვლევის დიზაინი	4
2.1.	კვლევის მიზანი და ამოცანები.....	4
2.2.	კვლევის მეთოდოლოგია	4
3.	კვლევის ანგარიში.....	5
3.1.	შინამეურნეობა.....	5
3.2.	ბანათლების დონე	7
3.2.1.	უმაღლესი და კროფესიული ბანათლება.....	7
3.2.2.	უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ფლობა	8
3.3.	შემოსავლები	9
3.3.1.	პენსიიდან მიღებული შემოსავლები	10
3.3.2.	სოციალური დახმარებიდან მიღებული შემოსავლები.....	11
3.3.3.	დასაქმება და სახელფასო შემოსავლები.....	12
3.3.4.	კერძო ბიზნესისგან მიღებული შემოსავლები	13
3.3.5.	სხვა შემოსავლები.....	14
4.	დასკვნები და მიზნები	15
4.1.	დასკვნები.....	15
4.2.	რეკომენდაციები	16

1. შესავალი

მოცემული დოკუმენტი წარმოადგენს „აჭარაში მცხოვრები ეკომიგრანტების კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების კვლევის“ ანალიტიკურ ანგარიშს.

ანგარიში მომზადებულია არასამთავრობო ორგანიზაცია ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი “ინტელექტის” მიერ, მასსა და საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობას შორის გაფორმებული #ENPI/2015/355-275 საგრანტო ხელშეკრულების საფუძველზე მოქმედი პროექტის, “მიგრანტთა მდგომარეობის გაუმჯობესება აჭარის რეგიონში”, ფარგლებში.

„აჭარაში მცხოვრები ეკომიგრანტების კვალიფიკაციისა და უნარ-ჩვევების კვლევა“ განხორციელდა 2015 წლის აგვისტო-სექტემბერში. კვლევა განხორციელდა აჭარის მასშტაბით და მასში მონაწილეობდნენ სხვადასხვა მუნიციპალიტეტებში მცხოვრები ეკომიგრანტი ოჯახები.

საველე სამუშაოებში მონაწილეობდნენ კოალიციის წევრი ორგანიზაციები - დემოკრატიის ინსტიტუტი და ხანდაზმულ ქალთა ასოციაცია „ღირსეული სიბერე“.

2. კვლევის დიზაინი

2.1. კვლევის მიზანი და ამოცანები

საქმიანობის მიზანია აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მუნიციპალიტეტებში მდებარე სოციალურ სახლებში მცხოვრები ეკომიგრანტების კვალიფიკაციისა და პროფესიული უნარ-ჩვევების, შრომითი გამოცდილების შესახებ საბაზისო ინფორმაციის შეგროვება, რათა კვლევის შედეგების საფუძველზე ჩამოვყალიბოთ მაქსიმალური შედეგების მიღებაზე ორიენტირებული სტრატეგიები ეკომიგრანტებისათვის პროფესიული სწავლების, სოციალური და მცირე საწარმოების ჩამოყალიბებისა და განვითარების საკითხებთან დაკავშირებით. კვლევის შედეგების გათვალისწინების საფუძველზე ზემოხსენებული პროექტის ფარგლებში დაგეგმილი ქვე-გრანტების გაცემის პროცესი წარიმართება მაღალეფექტურად და მოხდება რისკების მინიმიზაცია.

კვლევის ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს წარმოადგენდა მიღებული შედეგების საფუძველზე სახელმწიფო უწყებებისათვის რეკომენდაციების შემუშავება.

კვლევის ძირითადი მიზნიდან გამომდინარე განისაზღვრა კვლევის შემდეგი ამოცანები:

- ეკომიგრანტი ოჯახების სოციალური მდგომარეობის შესწავლა;
- ეკომიგრანტი ოჯახების განათლების დონის შესწავლა;
- ეკომიგრანტი ოჯახების უნარ-ჩვევების შესწავლა.

2.2. კვლევის მეთოდოლოგია

კვლევის ტიპი: კვლევის დროს გამოყენებულ იქნა რაოდენობრივი კვლევის მეთოდი, კერძოდ, კვლევა ჩატარდა პირისპირი და სატელეფონო სიღრმისეული ინტერვიუს ტექნიკების გამოყენებით. კვლევის ანგარიშში საქართველოსა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესახებ მოყვანილი მონაცემები დამუშავებულია სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემების გამოყენებით.

სამიზნე ჯგუფი: კვლევის მიზნებიდან და ამოცანებიდან გამომდინარე კვლევის რესპონდენტებად შეირჩნენ ეკომიგრანტი ოჯახების ის წევრები, რომლებიც ყველზე უკეთ ფლობდნენ ოჯახის შესახებ ინფორმაციას.

შერჩევის მეთოდი: წინასწარი შერჩევის ბაზა.

კვლევის განხორციელების გეოგრაფიული არეალი: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკა.

ინტერვიუს ხანგრძლივობა: 30 წთ.

კვლევის განხორციელებამდე შემუშავდა სპეციალური ანკეტა. კვლევის ინსტრუმენტის საბოლოო სამუშაო ვერსიის ტესტირების მიზნით განხორციელდა საპილოტე კვლევა. პილოტაჟის ჩატარების შემდეგ უმნიშვნელოდ დაკორექტირდა კითხვარები და ჩატარდა ინსტრუქტაჟი მკვლევარებისთვის, რომელიც მოიცავდა კითხვარის ცალკეული კითხვების შევსების სპეციფიკებს, საველე სამუშაოების შესრულებასთან დაკავშირებული სირთულეების განხილვას და სხვადასხვა რეკომენდაციებს რესპონდენტისგან მაქსიმალურად საჭირო ინფორმაციის მიღებისათვის.

კვლევის ანკეტები თან ერთვის კვლევის ანგარიშს დანართის სახით.


3. კვლევის ანგარიში

3.1. შინამეურნეობა¹

წინამდებარე კვლევა განხორციელდა აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე მდებარე სოციალურ სახლებში მცხოვრებ ოჯახებში.

კვლევის პროცესში გამოკითხული იქნა 100 ეკომიგრანტი ოჯახი, რომელთა %-ული გადანაწილება ტერიტორიული ნიშნით მოცემულია #1 დიაგრამაზე. კვლევის განხორციელების პროცესში სოციალურ სახლებში ბინების დიდი ნაწილი დაკეტილი, გაქირავებული ან გაყიდული იყო, შესაბამისად ვერ მოხერხდა ეკომიგრანტი ოჯახების 100 %-ის გამოკითხვა.

დიაგრამა #1. გამოკითხულ ეკომიგრანტთა %-ული განაწილება საცხოვრებელი ადგილის მიხედვით




რაც შეეხება ოჯახში წევრთა რაოდენობას, საშუალოდ ერთ ოჯახში ცხოვრობს 5 წევრი, თუმცა ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილი არიან 4 წევრიანი ოჯახები (მათი წილი მთლიან რაოდენობაში 28%-ია).

ხულოს მუნიციპალიტეტში გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების სიმცირე განპირობებულია იმ ფაქტორით, რომ კვლევის ჩატარების დროს ხულოს მუნიციპალიტეტში არ იყო დასრულებული სოციალური სახლის მშენებლობა და არ არსებობდა ეკომიგრანტთა ერთიანი ბაზა საკონტაქტო ინფორმაციის მითითებით.

¹ შინამეურნეობა არის ადამიანთა ერთობლიობა, რომელიც ექვემდებარება ერთ საცხოვრებელ ერთეულზე ერთობლივი ცხოვრების საერთო წესებს და დაკავშირებულია საერთო ბიუჯეტით (მისი ნაწილით), ნათესაური ან/და არანათესაური ურთიერთობებით. შინამეურნეობა შეიძლება შედგებოდეს ერთი პირისგანაც.


დიაგრამა #2. ოჯახების %-ული წილი წევრთა რაოდენობის მიხედვით



როგორც კვლევამ აჩვენა, გამოკითხულ ეკომიგრანტთა 47 % წარმოადგენს შრომისუნარიან პირებს, ხოლო დანარჩენ 53 %-ს მიეკუთვნებიან:

- 18 წლამდე ასაკის მოსახლეობა;
- საპენსიო ასაკის მოსახლეობა;
- შშმ პირები.

დიაგრამა #3. ეკომიგრანტი მოსახლეობის %-ული განაწილება შრომისუნარიანობის მიხედვით




3.2. განათლების დონე


3.2.1. უმაღლესი და პროფესიული განათლება

გამოკითხული მოსახლეობის თითქმის 100%-ს მიღებული აქვს სრული საშუალო განათლება. გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების შესაბამისი ასაკის წევრების 78 %-ს არ აქვს არც უმაღლესი და არც პროფესიული განათლება. იმ პირთა შორის, ვისაც უნდა ჰქონდეს ასაკის შესაბამისად უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება, მხოლოდ 22 %-ს აქვს მიღებული უმაღლესი და პროფესიული განათლება და საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს (31%) სასოფლო დასახლებებისათვის 9%-ით ჩამორჩება.

დიაგრამა #4. ეკომიგრანტი მოსახლეობის %-ული განაწილება განათლების მიხედვით



დიაგრამა #5. პროფესიების %-ული წილი მთლიან მოცულობაში




როგორც დიაგრამა #5-დან ჩანს ეკომიგრანტებში ყველაზე დიდი რაოდენობით წარმოდგენილი არიან პედაგოგები (32%) და ეკონომისტები (11%). უნდა აღინიშნოს, რომ უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე ეკომიგრანტების ნაწილს განათლება დიდი ხნის წინ აქვთ მიღებული და საჭიროებს განახლებას.

3.2.2. უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ფლობა


მიუხედავად იმისა, რომ გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების 44%-მა იცის უცხო ენა, რომლის ცოდნის დონე ძალიან დაბალი ან დაბალია და შემოიფარგლება ძირითადად თურქული და ინგლისური ენებით. ოჯახში ინგლისურ ენას ძირითადად ფლობენ სკოლის მოსწავლეები, ხოლო თურქულ ენას 30-55 წლის ასაკის ოჯახის წევრები, რომლებიც სამუშაოდ გადადიან თურქეთის რესპუბლიკაში.

დიაგრამა #6. უცხო ენის ფლობა



რაც შეეხება კომპიუტერული პროგრამების ფლობას, მას ძირითადად ახალგაზრდები ფლობენ. მათ, ვინც ამბობდა, რომ იცის კომპიუტერული პროგრამები (გამოკითხული ოჯახების მხოლოდ 32%), მათი 100% კომპიუტერული პროგრამებიდან ასახელებდნენ საოფისე პროგრამებს, ხოლო ფლობის დონეს დამწყებად.


დიაგრამა #7. გამოკითხულ ეკომიგრანტთა ოჯახების %-ული განაწილება კომპიუტერული პროგრამების ფლობის ჭრილში



3.3. შემოსავლები

საშუალო თვიური შემოსავლები ერთ შინამეურნეობაზე შეადგენს 428 ლარს. რაც შეეხება საშუალო თვიურ შემოსავლებს გაანგარიშებულს ერთ სულზე შეადგენს 85 ლარს. სეს-ოს მონაცემებით საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი საქართველოს მასშტაბით შეადგენს 141,8 ლარს.

დიაგრამა #8. საშუალო თვიური შემოსავლების %-ული განაწილება შემოსავლის სახეობების მიხედვით




კვლევის დროს ვერ მოხერხდა არაფულადი შემოსავლების იდენტიფიცირება, შესაბამისად ზემოთ მოცემული მონაცემები დათვლილია მხოლოდ ფინანსური შემოსავლების მიხედვით.

3.3.1. პენსიიდან მიღებული შემოსავლები

რაც შეეხება პენსიონერთა რაოდენობას საშუალოდ ოჯახში ერთი პენსიონერი მაინც ცხოვრობს, ხოლო გამოკითხულ ეკომიგრანტთა 19,3 % პენსიონერია, რაც აჭარის ვტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს 4,33 %-ით აღემატება. პენსიონერთა თითქმის 100 %-ი პენსიას იღებს ასაკის შესაბამისად.

საშუალოდ ერთი პენსიონერის პენსიიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 136 ლარს, რომელიც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს 45 ლარით ჩამორჩება. გამოკითხული ოჯახების (საუბარია იმ ოჯახებზე, რომლებიც იღებენ პენსიას) 86 %-ის საპენსიო შემოსავალი მერყეობს 101-დან 300 ლარამდე.

დიაგრამა #9. პენსიიდან მიღებული შემოსავლების %-ული განაწილება




“მაღალმთიანი რეგიონების განვითარების შესახებ” საქართველოს კანონის ფარგლებში ქედის, ხულოსა და შუახევის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ პენსიონერებს 20%-ით გაეზარდათ საპენსიო ანაზღაურება, ასევე 20%-ით გაიზარდა სოციალური დახმარების მოცულობა.

3.3.2. სოციალური დახმარებიდან მიღებული შემოსავლები


გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების თითქმის 100 % რეგისტრირებულია სოციალური შემწეობის მიმღებთა ბაზაში, ასევე საკმაოდ მაღალია სოციალური შემწეობის მიმღებ ოჯახთა რაოდენობა, რომელიც შეადგენს საერთო რაოდენობის 41 %-ს, რაც აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს (5,3 %-ს) 35,7%-ით აღემატება.

დიაგრამა #10. ეკომიგრანტი ოჯახების %-ული განაწილება სოციალური შემწეობის მიღების მიხედვით



საშუალოდ ერთ ოჯახში სოციალური შემწეობიდან მიღებული შემოსავალი შეადგენს 227,5 ლარს, რაც 106,5 ლარით აღემატება აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ანალოგიურ მაჩვენებელს (არსებული სხვაობა მეტწილად განპირობებულია სამიზნე ჯგუფების სიღარიბის მაჩვენებლით და სამიზნე ტერიტორიებზე (ქედა, შუახევი, ხულო) სახელმწიფოს მიერ 20%-ით მაღალი სოციალური შემწეობის გაცემით).


დიაგრამა #11. სოციალური შემწეობის %-ული განაწილება თანხის მოცულობის მიხედვით



3.3.3. დასაქმება და სახელფასო შემოსავლები

როგორც დიაგრამა #12-დან ჩანს, შრომისუნარიანი (არ მოიცავს არასრულწლოვანს, პენსიონერსა და შშმ პირს) მოსახლეობის მხოლოდ 33 %-ია დასაქმებული. უმუშევრობის დონე საქართველოს მასშტაბით სტატისტიკის ეროვნული სააგენტოს მონაცემებით შეადგენს 12%-ს, ხოლო სამიზნე სეგმენტში აღნიშნული მაჩვენებელი 67 %-ია.


დიაგრამა #12. ეკომიგრანტების %-ული გადანაწილება დასაქმების მიხედვით



დასაქმებულთა უმრავლესობა დასაქმებულია განათლების, ჯანდაცვისა და ტურიზმის სფეროებში, რაც შეეხება პოზიციებს, ისინი დასაქმებული არიან ყველაზე დაბალი და საშუალო დონის რგოლებში.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს ტერიტორიაზე ეკომიგრანტების დასაქმების ერთ-ერთ კრიტიკულ, შემაფერხებელ ფაქტორად გვევლინება სოციალური შემწეობის დაკარგვის რისკი, რის გამოც მათი უმრავლესობა უარს ამბობს ოფიციალურ სამუშაოზე.

დიაგრამა #13. ეკომიგრანტი ოჯახების სახელფასო შემოსავლების %-ული განაწილება დიაპაზონების მიხედვით




გამოკითხული დასაქმებული ეკომიგრანტების საშუალო ხელფასი შეადგენს 227,4 ლარს ერთ ადამიანზე, რაც სეს-ოს მონაცემებით, ქვეყნის ანალოგიურ მაჩვენებელს 673 ლარით ჩამორჩება და სეს-ოს მონაცემებით 900,4 ლარს შეადგენს.

3.3.4. კერძო ბიზნესისგან მიღებული შემოსავლები

ეკომიგრანტი ოჯახების მხოლოდ 3% ფლობს ბიზნესს. კერძო ბიზნესიდან მიღებული ყოველთვიური საშუალო შემოსავალი კი შეადგენს 540 ლარს.

დიაგრამა #14. ეკომიგრანტთა ოჯახების განაწილება კერძო ბიზნესის ფლობის კუთხით




3.3.5. სხვა შემოსავლები

აღსანიშნავია ის ფაქტიც, რომ გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების 27 % სეზონურად გადადის თურქეთის რესპუბლიკაში სამუშაოს ძიების მიზნით. აღნიშნული შემოსავლების კონტროლი ვერ ხორციელდება სახელმწიფოს მიერ. გამოკითხულთა მონაცემებით დღიური სახელფასო ანაზღაურება თურქეთის რესპუბლიკაში მერყეობს 50-დან 100 ლარამდე.

არაფინანსური შემოსავლის წყაროს წარმოადგენს ეკომიგრანტი ოჯახების საკუთრებაში არსებულ ეროზირებულ მიწებზე გაშენებული სასოფლო-სამეურნეო ბაღები.

დიაგრამა #15. აქვთ თუ არა მიწის ნაკვეთი ძველ საცხოვრისის ტერიტორიაზე



გამოკითხული ეკომიგრანტების 67 % კვლავ სარგებლობს ეროზირებული მიწით და მისდევს სოფლის მეურნეობას. მათი ნაწილი ცხოვრობს ძველ საცხოვრებელში და მხოლოდ ზამთრის პერიოდში (მაშინ, როცა მეწყერული პროცესების გააქტიურების რისკი ძალიან მაღალია) ცხოვრობენ სოციალურ სახლებში.

4. დასკვნები და მიზნები

4.1. დასკვნები

კვლევის შედეგებზე დაყრდნობით შესაძლებელია შემდეგი ძირითადი დასკვნებისა და შეფასებების გაკეთება:

- დაბალია გამოკითხული ეკომიგრანტი ოჯახების სოციალური მდგომარეობა, გამოკითხული ოჯახების თითქმის 100 % რეგისტრირებულია სოციალური შემწეობის მიმღებთა ბაზაში, რომელთა 41 % იღებს სოციალურ დახმარებას;
- ძალიან მაღალია (67 %) უმუშევრობის დონე, რომელიც საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 55 %-ით აღემატება. დასაქმებულთა უმრავლესობა მუშაობს დაბალი და საშუალო რგოლის თანამშრომლად;
- უმუშევრობისა და დაბალი სოციალური ფონის განმაპირობებელ ფაქტორად გვევლინება განათლების დაბალი დონე. გამოკითხული ეკომიგრანტების ოჯახის წევრთა 78%-ს არ აქვს არც უმაღლესი და არც პროფესიული განათლება. უმაღლესი/პროფესიული განათლების მქონე პირთა ცოდნა მოძველებულია და საჭიროებს განახლებას;
- უცხო ენებისა და კომპიუტერული პროგრამების ცოდნის ხარისხი ძალიან დაბალია, რაც დღევანდელ შრომის ბაზარზე დასაქმების ერთ-ერთ მთავარ წინაპირობად გვევლინება;
- თითქმის არ არის განვითარებული კერძო ბიზნესი. კერძო ბიზნესით დაკავებულია ეკომიგრანტი ოჯახების მხოლოდ 3%. მინიმალურია რესპოდენტ ოჯახებში სამეწარმეო ცოდნის დონე;
- საშუალო მომხმარებლის საარსებო მინიმუმი 85 ლარია და საქართველოს ანალოგიურ მაჩვენებელს 56,8 ლარით ჩამორჩება;
- მოსახლეობის თითქმის მესამედი სამუშაოს საძებნელად სეზონურად გადადის თურქეთის რესპუბლიკაში, სადაც ძირითადად საქმდებიან დაბალპრესტიჟულ და დაბალკვალიფიციურ სამუშაოზე;
- მიუხედავად იმისა, რომ ეკომიგრანტი ოჯახები დაკმაყოფილდნენ საცხოვრებელი ფართებით, მათი დიდი ნაწილი არ ცხოვრობს აღნიშნულ ფართში, ნაწილმა გაყიდა საკუთრებაში მიღებული საცხოვრებელი, ნაწილმა გააქირავა, ხოლო ნაწილი ისევ ძველ სახლში ცხოვრობს. აღნიშნული გარემოების ძირითად გამომწვევ მიზეზად გვევლინება საცხოვრებელთან სამუშაო ადგილების არ არსებობა;
- როგორც კვლევამ აჩვენა, არ ხდება ეროზიული მიწის მოსვენება, რამაც შეიძლება კიდევ უფრო გაამძაფროს მეწყრული პროცესები.

4.2. რეკომენდაციები

იმისათვის, რომ გამოსწორდეს ზემოაღნიშნული მდგომარეობა, გაიზარდოს ეკომიგრანტი ოჯახების ეკონომიკური დამოუკიდებლობის დონე, აუცილებელია:

- ეკომიგრანტი ოჯახის უმაღლესი და პროფესიული განათლების მქონე წევრების მომზადება-გადამზადების კურსებში ჩართვა - შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული სამუშაო მაღის განვითარების მიზნით;
- ახალგაზრდების ხელშეწყობა მიიღონ სრულფასოვანი უმაღლესი ან/და პროფესიული განათლება;
- გააქტიურდეს სსიპ აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის დასაქმების სააგენტო და აამოქმედოს სტაჟირებისა და აღნიშნული კატეგორიის დასაქმების მიზნობრივი პროგრამები;
- ამოქმედდეს უცხო ენისა და კომპიუტერის შემსწავლელი კურსები;
- განხორციელდეს კერძო ბიზნესის მხარდამჭერი მიზნობრივი პროგრამები;
- აუცილებელია სოციალურ სახლებში ბინების გადაცემის დროს ხელშეკრულებაში ცალსახად აისახოს ქონების ფლობის პირობები და შეიზღუდოს გაქირავება, გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;
- გადაიხედოს სოციალური შემწეობის გაცემისა და შეწყვეტის წესები და პირობები.

ახალგაზრდა მეცნიერთა კავშირი „ინტელექტი“
მის.: ქ. ბათუმი, ფიროსმანის ქ. #18 A, ოფისი #16
ტელ.: (+995) 592 571 800
ელ. ფოსტა: info@intellect.org.ge
www.intellect.org.ge